



### მარიამ სერგია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების  
ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი  
კურსის სტუდენტი  
პროექტ „ასწავლე საქართველოსთვის“  
მასწავლებელი  
პროექტ „DOIT“-ის მონაწილე

### რეპორტაჟი სოფელ ჯაბნაძეებიდან

2014 წლის სექტემბრიდან ჩემი ცხოვრება აჭარის მაღალმთიან რეგიონს, კონკრეტულად კიშუახევის რაიონის სოფელ ჯაბნაძეებს დაუკავშირდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, გარკვეულწილად გავაცნობიერე რომ ჩემს ცხოვრებაში რაღაც გარდატეხა უნდა მომხდარიყო. გადაწყვიტე მონაწილეობა მიმელო პროგრამაში “ასწავლე საქართველოსთვის”. პირველად მხოლოდ სახელწოდებაგავიგე. შემდეგ პროექტის შინაარსს გავეცანი დამალევე ჩემი გადაწყვეტილება არც თუ ისე გონივრული მომეჩვენა. სულ რამდენიმე თვის წინ დავამთავრე უნივერსიტეტი და დამწყებ სპეციალისტს, რა უნდა “მესწავლებინა საქართველოსთვის”. ჩემი უეცარი ინტერესი ზედმეტად ამბიციურად მივიჩნე და დროებით მივივიწყე... რაღაც დროის მერე, “იძულებით მივიწყებულმა სურვილმა” თავი კვლავ შემახსენა. გამოცხადდა თუ არა პროგრამაში მისაღები კონკურსი, მაინც

მივედი. ეს ყველაფერი არც ისე მარტივი აღმოჩნდა. გავიარე ბევრი პროცედურა, უფრო სწორად მეგონა რომ გავიარე. საბოლოო შედეგი საკმაოდ შორეულ მომავალად მეჩვენებოდა. ეს „შორეული მომავალი“ რამდენიმე თვეში რეალობად იქცა და აღმოვჩნდი ენითაუწერელი სილამაზის მაღალმთიანი აჭარის ერთ პატარა სოფელში.

სიმართლე გითხრათ, პირველი რამდენიმე დღე და პირველი განცდები მკაფიოდ არც მახსოვს. ბევრი რომ არ ვისაუბრო, უამრავი შემამსუბუქებელი, გრძნობების გამამართლებელი, გამამხნევებელი და სიტუაციის გამანეიტრალებელი სიტყვების გარეშე ძალიან მარტივად რომ ვთქვა – შემეშინდა! დიახ, ეს იყო შიში! თუმცა, ვერ ვხვდებოდი კონკრეტულად რისი. ალბათ ყველაფრის... მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად ვიცოდი ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორე და ის, რომ სწორედ ეს გადაწყვეტილება იყო ის, რაც ჩემი პიროვნებისთვის საუკეთესო გამოცდილება იქნებოდა, შიშის გრძნობა მაინც არ მტოვებდა.

პირველი მარცხიც მალევე განვიცადე. ეს იყო ჩემი პირველი გაკვეთილი. კრახის მიზეზად კი მნიშვნელოვანწილად არაზუსტი სტერეოტიპები შემიძლია დავასახელო. სამწუხაროდ, ჩემს ირგვლივ მყოფი ბევრი ადამიანის „წყალობით“ და „დახმარებით“, რატომღაც არც ისე ჩამოყალიბებული და ზუსტი წარმოდგენა აღმომაჩნდა ჩემს მომავალ მოსწავლეებზე. სხვების შემთხვევაში როგორ ხდება ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მე ძალიან დიდი ხანი მეფიქრებოდა, მესიზმრებოდა, მეოცნებებოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი პირველი გაკვეთილი. გავიგე თუ არა, რომ პირველად მეშვიდე კლასის მოსწავლეებთან მომიხდებოდა შეხვედრა, დაწყებული მათი ასაკის თავისებურებების შესწავლით, დამთავრებული ჩემი გაკვეთილის გაწერილი გეგმით (თავისი სარეზერვო აქტოვობებით) მეგონა, რომ ჩემი პირველი გაკვეთილისთვის სრულ მზადყოფნაში ვიყავი. როგორც აღმოჩნდა, გაკვეთილის საბოლოო შედეგი (რომელიც არა მგონია მოსწავლეებს იმ სიმძაფრით განეცადათ, როგორც მე) არც თუ ისე სახარბიელო იყო. ჩემი პირველი რეალური მოსწავლეები, ჩემი წარმოსახვის არარეალური მოსწავლეებისგან აბსოლუტურად განსხვავებულები და ბევრად კარგები აღმოჩნდნენ. მათი აზროვნება, სხვადასხვა საკითხისადმი მიდგომა ჩემს დამუშავებულ და გამზადებულ გეგმას არც თუ ისე კარგად მოერგო. გაკვეთილის შემდეგ, ჩემი თავი ერთი საინტერესო ფილმის – “მონა ლიზას ღიმილის” მთავარი პერსონაჟი მეგონა. ფილმის გმირი დაახლოებით ჩემს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და ისიც ხელოვნების მასწავლებელი იყო.

მასწავლებლობის პირველი დღის დასასრულს, ბევრი ფიქრის შემდეგ, გავაცნობიერე კრახის მიზეზი: მე ვცდილობდი მოსწავლეების მორგებას ჩემს გაწერილ გეგმასთან, მქონდა სტერეოტიპები. მივხვდი, რომ მეორე გაკვეთილი უნდა

ყოფილიყო უკვე სხვა, ახალი... მათთვის – მოსწავლეებისთვის და ჩემთვის – მასწავლებლისთვის.

ჩემი მეორე სამუშაო დღეს, გაკვეთილზე მოსწავლეებს ვთხოვე: რამდენიმე ფრაზით აღეწერათ მათთვის სასურველი ხელოვნების გაკვეთილი. ამ მცირე და ამავდროულად მნიშვნელოვანმა დეტალმა, მათ მიერ გამოთქმულმა სასიამოვნო სურვილებმა უკვე სერიოზული ბიძგი მისცა ჩემს მასწავლებლობას, მე გავიგე რას ფიქრობდნენ ჩემი მოსწავლეები.

ჩემს პირველ წარმატებად რას მივიჩნევ ვერ გეტყვით, რადგან თურმე მასწავლებლობა ცოცხალი, მუდმივად ცვალებადი პროცესია, ყოველდღე ახალი გამოწვევა და ახალი წარმატება გელოდება. დღეს მე ერთი დამწყები, მცირე გამოცდილების მქონე ხელოვნების მასწავლებელი ვარ, არ ვიცი როგორ წარიმართება ჩემი მომავალი კარიერა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებლობა სწორედ ის გამოცდილებაა, რომელიც ჩემი მომავლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.



### რელიგიური უმცირესობა და განათლება

შუახვევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეების საჯარო სკოლაში 67 მოსწავლეს 25 მასწავლებელი ასწავლის.

რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ყველაზე დიდი ქართველები – ეს არის ის ემოცია, რომელიც აუცილებლად დაეუფლება აჭარის მაღალმთიანი რეგიონში ცოტა ხანგრძლივად ჩასულ ნებისმიერ სტუმარს. მას ხომ ჯაბნიძეელებთან თბილი „ღუმელის განაწილება“ მოუწევთ.

ქრისტიანულ ან დიდ ქრისტიანებად ყოფნის სურვილით შეპყრობილ გარემოში მომიწია ჩემი ცხოვრების გარკვეული ნაწილის გატარება. დიდი ხნის მანძილზე ჩემთვის არსებობდა მხოლოდ ერთი რელიგია და შესაბამისად სხვა რელიგია ჩემთვის სხვა სამყარო იყო. არც კი მქონდა სხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება. საბედნიეროდ ამ იზოლაციას თავი დავაღწიე და ჩემს ირგვლივ, ჩემს ქვეყანაში საინტერესო და მრავალფეროვანი სამყაროდავინახე.

მაღალმთიანი აჭარის ის სოფელი, სადაც მე მასწავლებლად მომიწია მუშაობა, მუსლიმი ქართველებითაა დასახლებული.თუმცა ტერმინის “რელიგიური უმცირესობა” ან “უმრავლესობა“ გამოყენება ჩემთვის უხერხული, ან გულწრფელად რომ გითხრათ შეურაცხყოფელი გახდა. ადამიანების გამოყოფა განსხვავებულ “უმცირესობად” მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი თავიანთი სულის სიმშვიდის მიღწევას განსხვავებული გზით ცდილობენ, ჩემთვის მიუღებელია.ამის თქმის საშუალებას ჯაბნიძეების მკვიდრი ქართველები მაძლევენ, მე მრწამსით გამოწვეული განსხვავებულობა აქ, მათ სივრცეში არასოდეს მიგრძვნი!

რა თქმა უნდა არსებობს განსხვავებული ტრადიციები. აქ სხვანაირად აღნიშნავენ ახალ წელს, მიირთმევენ სხვანაირ კერძებს, სხვანაირი კილოთისაუბრობენ,სხვანაირად აღნიშნავენ რელიგიურ რიტუალებს. თუმცა, ხვდები, რომ სიტყვა “სხვანაირს” სულ სხვანაირი მნიშვნელობა აქვს, ეს უფრო შენი ნაწილის სხვა კუთხით დანახვაა, და ამ დროს მთავარი ხიბლი სწორედ ეს “სხვანაირობაა”.

და მაინც, როგორია განათლების დონე? და საერთოდ, რა არის განათლება? ამ კითხვაზე პასუხი „სხვანაირობისა“ არ იყოს, სხვაგვარად ჟღერს. აქ მთის სამოვრებიცაა და უნივერსიტეტიც. ხშირად გაიგონებ: მთა დაცარიელდა ამდენი “განათლებისთვის გულგაქცეული” ან “ბინაში ცხოვრებაზე თვალგაქცეული” ადამიანების გამო. ასე, რომ აქ “ნენე” ისევ აქაურ რძალზე ოცნებობს, რომელსაც “ოჯახის ქალობას” თვითონვე „დაასწავლის“, “ყიშლაში” წაიყვანს, მერე კიმთაში სამოვრებზე ააბარგებს. აქაურები ქართულ, ძირძველ მიწაზე, სოფელსა და კუთხეზე ზრუნავენ, თითოეულ მათგანს საოცრად სტკივა თუნდაც ერთი აქედან აბარგებული ოჯახი,ხის დაშლილი, მხოლოდ აქაური სიმყუდროვით გაჟღენთილიაჭარულისახლი.

მაგრამ უმაღლესი განათლების მიღების მსურველებიც საკუთარ გადაწყვეტილებას მომავალზე ზრუნვის მიზეზით ხსნიან. არაერთხელ შევსწრებივარ შვილის მომავალი პროფესიის შერჩევის შესახებ გამართულ დისკუსიებს ოჯახის წევრებისა და ოჯახის ახლობლების მონაწილეობით. ამ შემთხვევაში, სოფლიდან კიდევ ერთი შვილის წასვლისა და მისი უკან აღარ მობრუნების საფრთხის მიუხედავად,ყოველი სტუდენტი ჯაბნიძეების სიამაყეა.

